

0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა LITERATURE AND LINGUISTICS

ტოქსიკური სიყვარული არისტოფანეს კომედიაში „ლისისტრატე“

ნინო გვენეტაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: gvenetadze.nino@atsu.edu.ge

რეზიუმე

სიყვარულის თემას ანტიკური ლიტერატურის მკვლევრები არც ისე ხშირად მიმართავენ. არისტოფანეს კომედიაში „ლისისტრატე“ ბევრი საინტერესო თემა მუშავდება, როგორც არის: ომისა და მშვიდობის პრობლემები, ქალი-ლიდერის როლი საზოგადოებაში, კომიკური კათარსის ფუნქცია და სხვ. ჩვენი მიზანია, არისტოფანეს ეს ცნობილი კომედია სრულიად სხვა ასპექტით წარმოვადგინოთ და სიყვარულის თემა წამოვწიოთ წინა პლანზე. ფაქტობრივად, არასდროს გამხდარა ეს საკითხი შესწავლის საგანი. უფრო მეტიც, მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ ანტიკურ ლიტერატურაში სიყვარულის მოტივი არ უნდა ვეძებოთ აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკამდე“. ჩვენ სწორედ საპირისპიროს მტკიცებას შევეცდებით. ალბათ, ლისისტრატეს მიერ ორგანიზებული გაფიცვა ქალთა პირველი მასობრივი გაფიცვა იყო. არისტოფანეს გაფიცული ქალები მამაკაცთა მოსპობას კი არ ცდილობენ, არამედ მათთან ერთიანობისაკენ მიილტვიან. ნაწარმოების კომიზმი იმაში მდგომარეობს, რომ გმირთა მიერ დასახული მიზანი სერიოზულია, მაგრამ მის მისაღწევად გამოყენებული საშუალება – არასერიოზული (მშვიდობის დამყარება ხდება სექსუალურ მხარეზე, ემოციებზე, სიყვარულზე აქცენტის გადატანით), თუმცა ჩამაფიქრებელი (Hall 2007: 67-72).

ქალების, რომელთაც ჰყავთ გამოკვეთილი ლიდერი, მიზანი არის არა თავად მამაკაცების, არამედ მხოლოდ მათი ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციის, ომის წარმოების ჟინის, ნეიტრალიზაცია. ამ მიზნის მიღწევა, ფაქტობრივად, მამაკაცების ქალთა წინაშე კაპიტულაციას მოასწავებს. ეს შედეგი კი, ლისისტრატეს სწორად ორგანიზებულმა, კარგად მოტივირებულმა და რაც მთავარია, სწორად შერჩეულმა პოლიტიკამ – დროებით უარი ეთქვათ მამაკაცებისთვის სიყვარულზე – მოიტანა.

საკვანძო სიტყვები: მონატრება, დიალოგი, კომედია, ომი, მშვიდობა.

შესავალი

სიყვარულის თემას ანტიკური ლიტერატურის მკვლევრები არც ისე ხშირად მიმართავენ. არისტოფანეს კომედიაში „ლისისტრატე“ ბევრი საინტერესო თემა მუშავდება, როგორც არის: ომისა და მშვიდობის პრობლემები, ქალი-ლიდერის როლი საზოგადოებაში, კომიკური კათარსის ფუნქცია და სხვა. ჩვენი მიზანია, არისტოფანეს ეს ცნობილი კომედია სრულიად სხვა ასპექტით წარმოვადგინოთ და სიყვარულის თემა წამოვწიოთ წინა პლანზე. ფაქტობრივად, არასდროს გამხდარა ეს საკითხი შესწავლის საგანი. უფრო მეტიც, მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ ანტიკურ ლიტერატურაში სიყვარულის მოტივი არ უნდა ვეძებოთ აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკამდე“. ჩვენ სწორედ საპირისპიროს მტკიცებას შევეცდებით.

ძირითადი ნაწილი

ქალი-ლიდერის ბრწყინვალე მხატვრულ სახეს გვთავაზობს არისტოფანე კომედიაში „ლისისტრატე“. აქ, არსებითად, ოპოზიციის წევრებს წარმოადგენენ მთელი საბერძნეთის მამაკაცები, რომლებიც ომის ჟინით არიან შეპყრობილნი და მთელი საბერძნეთის ქალები, რომლებიც ომის შეწყვეტას ითხოვენ. ნაჩვენებია, თუ ლისისტრატე როგორ აიღებს საკუთარ თავზე, ორგანიზება გაუკეთოს ქალთა მოძრაობას, რათა მშვიდობა დამყარდეს მთელ საბერძნეთში და შეწყდეს ელინთა შორის განუკითხავი სისხლისღვრა.

კომედიის სული განსაკუთრებით ახლობელია დღეს ჩვენთვის, რომელთაც ბევრი საერთო შეგვიძლია ვნახოთ „ლისისტრატესა“ და ქალთა თანამედროვე სამშვიდობო მოძრაობის იდეებს შორის. კომედიის მკითხველს 21-ე საუკუნის დასაწყისში უთუოდ წარმოუდგება თვალწინ ის კადრები სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემებიდან, რომლებიც გვიჩვენებს მსოფლიო ქალთა სამშვიდობო კონგრესებს, სუსტი სქესის წარმომადგენელთა თავგანწირულ მანიფესტაციებს, პროტესტებს სამხედრო ბაზების წინ და ჩვენ კიდევ ერთხელ მოგვიცავს აღტაცების გრძნობა ათენელი დრამატურგის გენიის წინაშე, რომელმაც ასე წინასწარმეტყველურად განჭვრიტა ის, თუ რა შეუძლიათ გააკეთონ ქალებმა ქვეყნისათვის.

კომედიის შინაარსი ასეთია: ათენელი ქალი, ლისისტრატე, გადაწყვეტს, მშვიდობის დამყარების მიზნით (მიმდინარეობს პელოპონესის ომი), აამბოხოს ქალები სრულიად ელადაში მამაკაცთა წინააღმდეგ.

ქალებმა მათ უნდა გამოუცხადონ გაფიცვა – უარი უთხრან მამაკაცთა ყველა სურვილს, დატოვონ ოჯახი იმ დრომდე, სანამ კაცები გონს არ მოვლენ და ხელს არ აიღებენ ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტაზე.

ქალებმა სწრაფად დაიკავეს აკროპოლისი. მოხუც ათენელ მამაკაცთა გუნდი ცდილობს, იქიდან მათ გამოდევნას, მაგრამ ქალები პასუხად ცივი შხაპით გაუმასპინძლდებიან. როცა მამაკაცები მიხვდებიან, რომ ქალთა გადაწყვეტილება სერიოზულია, რომ ისინი ადვილად არ დათმობენ თავიანთ პოზიციებს, ძალიან შეშფოთდებიან. ამოდ ცდილობს ქალთა დაყოლიებას შუამავლად გაგზავნილი პრობულოსი რომელსაც ისიც კი ვერაფრით აუხსნია გაფიცულთათვის, რა მიზანი აქვს ომს, ვის ინტერესებს ემსახურება იგი, და საერთოდ, რისთვის ჭირდებათ ომი ადამიანებს.

სამაგიეროდ, ლისისტრატე და ქალები ძალიან ოსტატურად ცდილობენ, თავიანთი შეხედულებები ომის უაზრობის შესახებ ჩააგონონ მათ თავიანთი არგუმენტირებული გამოსვლებით. მოგვიანებით, როცა ქალებს თავიანთი ქმრები, იმათი ალერსი და სიყვარული, ოჯახური სითბო მოენატრებათ, ერთსულოვნებას ბზარი უჩნდება, ისინი სხვადასხვაგვარ ხრიკებს იგონებენ, რომ როგორმე აკროპოლისიდან გაიპარონ, მაგრამ ლისისტრატე, რომელიც მისანთა წინასწარმეტყველებას მოიშველებს, რომ ქალები საწადელს მალე მიადწევენ, ახერხებს მათ შეკავებას.

აღმოჩნდა, რომ სიყვარულის და მონატრების გრძნობამ მარტო ქალები კი არ შეაწუხა, მამაკაცებიც გააღიზიანა და საკუთარი ცოლების ნახვის სურვილი გაუმწვავა. ვინმე კინესიასი მოუვლელივით დადღასმულ ბავშვთან ერთად მიიპარება თავისი ცოლის, მირინეს სანახავად. მირინე ისე იქცევა, როგორც ლისისტრატე დაარიგებს: ქმარს ტრფობის ალს გაუღვივებს, მერე კი, შორით წვისა და დაგვის ხერხს მოიმარჯვებს – მას შემდეგ, რაც მამაკაცს ქალის სიყვარულის იმედი ჩაესახება, ცივი უარით სახლში ისტუმრებს.

არც სხვა მამაკაცები, ქალთაგან მიტოვებულნი და უარყოფილნი, გრძნობენ თავს უკეთესად. ბოლოსდაბოლოს, ლისისტრატემ და ქალებმა გატეხეს მათი სიმტკიცე. რადგან გაფიცვამ მთელი ქვეყანა მოიცვა, მამაკაცები იძულებული არიან, ელზობა გაუგზავნონ გაფიცულებს და მოლაპარაკებაზე დაითანხმონ.

დიאלოგის დროს ლისისტრატე მამაკაცებს მიანიშნებს, რომ არც თუ ბევრი რამ აქვთ სადავო ერთმანეთთან ათენელებსა და სპარტელებს, პირიქით, სიკეთეც საკმაოდ უკეთებათ ერთმანეთისათვის. გადაწყდა – ომი სასწრაფოდ უნდა დასრულდეს. ლისისტრატე, რომელიც სცენაზე ჩნდება ღვთაება შერიგებასთან ერთად, მოუწოდებს ყველას ერთობისკენ. კაცები მორჩილად დაჰყვებიან მის ნებას. ქალთა მასობრივი გაფიცვაც წყდება. კომედია მოშურნეთა მორიგებითა და საერთო ლხინით მთავრდება.

ამ კომედიაში თვისებრივად ახალ დონეზეა რეალიზებული ქალთა კოლექტიური ნების გამოხატვის მომენტი. თუკი „თესმოფორიადქუსებში“ ქალთა ნება უპირისპირდება ევრიპიდეს, მას, ვინც ქალების აღიარებულ მოძულედ ითვლებოდა და რომელმაც თავის ტრაგედიაში ყველაზე უფრო უარყოფითი თვისებებით წარმოადგინა ქალთა მოდგმა, „ლისისტრატეში“ ქალები გვევლინებიან მამაკაცების ოპოზიციურ ძალად მამაკაცობის განმსაზღვრელ ისეთ არსებით საკითხში, როგორცაა ომი. შესაბამისად, კომედიაში უკვე წარმოდგენილია ომის მიმართ ორგვარ დამოკიდებულებას შორის დაპირისპირება – მამაკაცების, რომლებიც სისხლიან ომებს მიელტვიან და ქალების, რომლებიც ესწრაფვიან მშვიდობიან ცხოვრებას.

ამ ყველაფრის ორგანიზებაში უდიდესი წვლილი ლისისტრატეს მიუძღვის. მას აქვს სამოქმედო გეგმა, მას პატივს სცემენ და ემორჩილებიან, მის სიტყვასა და ქმედებებს ფასი აქვს, მას ენდობიან და მიჰყვებიან. მასაც, როგორც ჭემმარიტ ლიდერს შეეფერება, დაწყებული საქმე ბოლომდე მიჰყავს (Irvine 2008:202).

საინტერესოა, რომ თავად არისტოფანესათვის ქალთა ნების გამოხატულება შეიძლება გადაიზარდოს ისეთ უკიდურესობაში, როგორც არის ბრძოლა, ამადონების მსგავსად. არისტოფანე თავადვე უსვამს ხაზს მისი პერსონაჟი ქალების ამადონებთან მსგავსებას. ქალების გადაწყვეტილებით, შეშფოთებული მამაკაცები იტყვიან: „ამ ქალებს თუ დროზე კისერი არ მოვუგრხებთ, ჩვენი საქმე ცუდად წავა. მათ მშვენივრად იციან ცხენზე ჯდომა – ამადონები ხომ არ ვარდებიან ცხენებიდან. ისინი რომ კაცებს ებრძვიან, ეს გვიჩვენა მიკონმა“ (678–9).

მასასადამე, არისტოფანე მიგვანიშნებს გაფიცულ ქალთა პირდაპირ კავშირზე ამადონებთან, იმაზე, რომ ქალთა გენში ოდიოტანგე იყო ჩადებული ბრძოლის ჟინი და მამაკაცებისათვის მედგარი წინააღმდეგობის გაწევის უნარი, მაგრამ კომედიაში საქმე აქამდე არ მიდის. შესაძლოა, სწორედ ლისისტრატეს გონიერების, ორგანიზების კარგი ნიჭის და სახელმწიფო მოღვაწისათვის აუცილებელი

კიდევ ბევრი თვისების წყალობით. ამასთან, ამადონები ხშირად ხდებოდნენ მამაკაცთა ტრფიალების ობიექტები. აქილევსს გარდაცვლილი პებთესილევ კი შეუყვარდა, როცა ხელჩართული ბრძოლის მოგების შემდეგ, შლემი ახადა და ულამაზესი ქალი შერჩა.

მართალია, ამადონების მსგავსად, საჭიროების შემთხვევაში, არისტოფანეს ქალები მზად არიან იარაღს მოჰკიდონ ხელი, ესროლონ ყველაფერი, ოღონდ არ დანებდნენ, მათ ჰყავთ ოთხი შეიარაღებული რაზმი, რომელნიც რისხვისაგან არიან ანთებულნი (465–75), მაგრამ ლისისტრატეს საქმე არ მიჰყავს შეიარაღებულ შეტაკებად. მისი დევიზია: „პრანჭვა გადაგვარჩენს“ და „თავი შევიკავოთ მამაკაცებთან ურთიერთობისაგან, სიყვარულისგან“ (120).

სწორედ ეს დაადებინებს კაცებს ხმაღს, ფარს ხელს აღარ ახლებენ (50). ლისისტრატე მოუწოდებს თანამებრძოლებს: „თუ საჭიროა მშვიდობისათვის, წავიდეთ ამ დათმობაზე. არ დავნებდეთ სიყვარულით, არ გავიკაროთ ახლოს არც ქმარი, არც საყვარელი, მოვხიბლოთ, სურვილით ავანთოთ, მერე კი, ხელიდან დავუხსლტეთ“ (146; 164).

ქალები გრძნობენ საკუთარი ნების გაერთიანების აუცილებლობას მამაკაცთა წინააღმდეგ. ლისისტრატე განაცხადებს: „ჩვენ მათზე გავიმარჯვებთ, თუ ერთმანეთში არ ვიჩხუბებთ“ (767). კლეონიკეს კი სჯერა: „როცა ქალები მოვლენ აქ ბეოტიიდან, პელოპონესიდან, კორინთოდან, ჩვენ მაშინ ყველანი ერთად გადავარჩენთ ელადას“ (40).

ლისისტრატეს კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ არსებობს ოჯახურ საქმეებზე უფრო მნიშვნელოვანი საქმეც. ეს არის ქვეყნის ხსნის საქმე, რომელიც სუსტი სქესის წარმომადგენლებმა საკუთარ თავზე უნდა აიღონ, რადგან კაცები ამ მისიას ვერ ასრულებენ თავიანთი უჭკუო გადაწყვეტილებებისა და ფულისათვის განუწყვეტელი ბრძოლის გამო.

„ჩვენ გადავარჩენთ თქვენ“ (500) – ხმამალა განუცხადა ლისისტრატემ კაცებს, რომელთაც ეგონათ, რომ ომი მხოლოდ მამაკაცების საქმე იყო. ლისისტრატემ მათ აჩვენა, რომ ომით, პირველ რიგში, ქალები იტანჯებიან: შვილებს უმამოდ ზრდიან, დედები დავაჟკაცებულ მოდგმას ბრძოლის ველზე აგზავნიან, ქალებს სძინავთ სულ მარტო, ახალგაზრდები ალერსის გარეშე ბერდებიან. ქმრებს კი შეუძლიათ, სიბერეშიც ახალგაზრდა ცოლები მოიყვანონ (100; 110; 525; 595), ამიტომ გადაწყვიტეს, აუკრძალონ მამაკაცებს იარაღით სიარული, ერთი ბრძოლიდან მეორეში გაქცევ-გამოქცევის სულელური წესი (Handley 1985:32).

ამ მიზნის შესასრულებლად ქალები იმასაც არ ერიდებიან, რომ ძალაუფლება აიღონ ხელში. „ქალები ტირანიას გვიძხადებენ“ (630) შეშფოდნენ კაცები. ქალებმა დაიკავეს აკროპოლისი და საკუთარი პირობები წაუყენეს მამაკაცებს: „თუ ფული დაგჭირდებათ სახლისთვის, ხორცისთვის მოგცემთ, ომისთვის – არა.... რაც მთავარია, ყველაფერი კარგად მოგვარდება, თუ ერთმანეთისაკენ მივისწრაფვით, თუ ერთმანეთი გვეყვარება“ (1065-1068).

თავდაპირველად, კაცები ცდილობენ, დროზე მოუგრიხონ კისერი ქალებს და ასწავლონ ჭკუა მანამ, სანამ მამაკაცთა საქმე მთლად ცუდად წავიდოდეს (677), მაგრამ, როცა ნახეს, რომ ქალთა გაფიცვა მტკიცე და ერთსულოვანი იყო, ყველა ქალმა ერთად მიატოვა საძინებელი ოთახები – აღიარეს ლისიტრატეს მოთხოვნათა გონივრულობა და დაჰყვენენ ქალთა ნებას: „მართალია, არ არსებობს ქვეყანაზე უფრო დიდი მხეცი, ქალებს რომ აჯობებს, მართალია, ძალიან ძნელია ქალებთან ერთად ცხოვრება, მაგრამ არც ამ წყეულ ქალთა გარეშე აქვს ფასი ჩვენს არსებობას“ (1078-1083). „ტოქსიკურ სიყვარულშიც“ სწორედ ამგვარი დამოკიდებულება ვიგულისხმეთ.

გადაწყვიტეს, ელჩობა გაუგზავნონ ლისისტრატეს, საერთო საქმეც მას – ქალს ჩააბარეს და სპარტელ-ათენელების მორიგებაც მასვე სთხოვეს. ასე მიმართავს ლისისტრატეს კორიფევსი: „ო, უმამაცესო ქალო, შენ ახლა უნდა შეეცადო, გახდე ავიცა და კეთილიც, მამაციცა და ბოროტიც, მშვიდიც და ბობოქარი ეშმაკიც, მთელი ელადა პირველად შეიყარა აქ ერთად, დაუთმო რა შენს ჯადოქრობას“ (1110-13).

ლისისტრატე მხოლოდ მას შემდეგ აძლევს უფლებას სპარტელ და ათენელ მამაკაცებს, თან წაიყვანონ თავიანთი ცოლები, როცა ისინი ერთგულებას შეჰფიცავენ ერთმანეთს.

მაშასადამე, კომედიაში „ლისისტრატე“ ქალები თავიანთი ლიდერის, ლისისტრატეს ხელმძღვანელობით, უპირისპირდებიან მამაკაცების გამოკვეთილად მამაკაცურ თვისებებს, მაგრამ არა იმისთვის, რომ მათ ამ თვისებებში შეეცილონ, არამედ იმიტომ, რომ უნდათ ხელი ააღებინონ ომზე და სახლებში დააბრუნონ, რადგან როგორც მამაკაცებს უჭირთ ქალების გარეშე ცხოვრება, ქალებიც მტკიცეულად განიცდიან მათთან დიდხანს დაშორებას (Konstan 1995: 83).

არისტოფანეს ამ კომედიაში გატარებულია აზრი, რომ ქალებს ისევე ჭირდებათ მამაკაცები, როგორც მამაკაცებს – ქალები. მათ სჭირდებათ ერთმანეთის სიყვარული.

ალბათ, ლისისტრატეს მიერ ორგანიზებული გაფიცვა ქალთა პირველი მასობრივი გაფიცვა იყო. არისტოფანეს გაფიცული ქალები მამაკაცთა მოსპობას კი არ ცდილობენ, არამედ მათთან ერთიანობისაკენ მიილტვიან. ნაწარმოების კომიზმი იმაში მდგომარეობს, რომ გმირთა მიერ დასახული მიზანი სერიოზულია, მაგრამ მის მისაღწევად გამოყენებული საშუალება – არასერიოზული (მშვიდობის დამყარება ხდება სექსუალურ მხარეზე, ემოციებზე, სიყვარულზე აქცენტის გადატანით), თუმცა ჩამაფიქრებელი (Hall 2007: 67-72).

დასკვნა

ქალების, რომელთაც ჰყავთ გამოკვეთილი ლიდერი, მიზანი არის არა თავად მამაკაცების, არამედ მხოლოდ მათი ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციის, ომის წარმოების ჟინის, ნეიტრალიზაცია. ამ მიზნის მიღწევა, ფაქტობრივად, მამაკაცების ქალთა წინაშე კაპიტულაციას მოასწავებს. ეს შედეგი კი, ლისისტრატეს სწორად ორგანიზებულმა, კარგად მოტივირებულმა და რაც მთავარია, სწორად შერჩეულმა პოლიტიკამ – დროებით უარი ეთქვათ მამაკაცებისთვის სიყვარულზე – მოიტანა. მამაკაცები თანხმდებიან, მიუხედავად იმისა, რომ მათი ქალებისადმი სიყვარული, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, საკმაოდ უცნაური და ტოქსიკურია.

ლიტერატურა

1. Aristophanes: *Lysistrata, The Acharnians, The Clouds* A. H. Sommerstein (ed), Penguin Books 1975, p.9. footnote.
2. Jones, Daniel; Roach, Peter (2006). James Hartman; Jane Setter (eds.). *Cambridge English Pronouncing Dictionary* (17th ed.). Cambridge UP.
3. Edith Hall Amanda Wrigley (2007). *Aristophanes in Performance 421 BC – AD 2007: Peace, Birds and Frogs*. Oxford: Legenda. p.1.
4. Handley E (1985), *Comedy*, in Easterling P, Knox B (eds.), *The Cambridge History of Classical Literature: Greek Literature*, Cambridge University Press.
5. Irvine, Andrew David (2008). *Socrates on Trial: A play based on Aristophanes' Clouds and Plato's Apology, Crito, and Phaedo, adapted for modern performance*. Toronto: University of Toronto Press.
6. Konstan, David (1995), *Greek Comedy and Ideology*, Oxford university Press US.
7. Silk, M. S. (2002), *Aristophanes and the Definition of Comedy*, Oxford University Press.

Toxic Love in Aristophanes' Comedy "Lysistrata"

Nino Gvenetadze

Abstract

The theme of love is not often addressed by researchers of ancient literature. Many interesting topics are developed in Aristophanes' comedy "Lysistrata", such as: the problems of war and peace, the role of a female leader in the society, the function of comic catharsis, and others. Our goal is to present this famous comedy by Aristophanes from a completely different aspect and bring the theme of love to the forefront. In fact, this issue has never been the subject of study. Moreover, the majority of scholars believe that the motif of love in ancient literature should not be sought until Apollonius of Rhodes' "Argonautics". We will try to prove the opposite. This comedy by Aristophanes conveys the idea that women need men just as much as men need women. They need each other's love. Perhaps the strike organized by Lysistrata was the first mass strike of women. Aristophanes's striking women do not seek to destroy men, but rather strive for unity with them. The comic nature of the work lies in the fact that the goal set by the heroes is serious, but the means used to achieve it are frivolous (peace is established by shifting the emphasis to the sexual side, emotions, and love), although thought-provoking.

The goal of women who have a clear leader is not the neutralization of men themselves, but only one of their main functions, the desire to wage war. Achieving this goal, in fact, teaches men to capitulate to women. This result is brought about by Lysistrata's well-organized, well-motivated, and most importantly, correctly chosen policy – to temporarily refuse men love.

Keywords: Longing, dialogue, comedy, war, peace.